# სახალხო გაზეთი

№ 259 შაბათი, 19 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 259

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სრამბა „სორაბან" ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხაღამოთი 5—დან 7—მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



ხვალ კვირას, 20 მარტს, ნახევარ წლის თავზე ნატახტრის ეკლესიაში და ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გენერალ მაიორის ქვრივის

ზაქარია ჩაჩიკა-

ელენე შვილის ასულის ქურავსკის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწყება შუადღის 12 ს., რასაც ნათესავთა და მეგობართ აუწყებენ ქალი განსვენებულისა ნადეჟდა იაკობის ასული კნეინა დადიანისა შვილებით და ბიძაშვილები: ზაქარია, ანტონი და ნიკოლოოზ ივანეს ძენი ბრჯევანიძეები დიბითურთ. (1—516—1)

სალომე კონსტანტინეს ასული ჭიჭინაძისა შვილებითურთ, ვლადიმერ და გრიგოლ კონსტანტინეს ძე ალშიბაიანნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 მარტს კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველ სამოსამართლო განყოფილების მსაჯულის თანაშემწის

სერგეი კონსტანტინეს ძის ჭიჭინაძის

სულის მოსახსენებლად. (2—517—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 20 მარტს, 1911 წელს.

მსახიობი ვ. მატარაძე ქართულ დრამატიულ დასის არტისტების დახმარებით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ ისტორიული პიესა

### მეტარავალი

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ი. ი. ლაზარაშვილისა.

1-ლი მოქმედება **დაფარული გოროტება**. 2-რე მოქმედება **განთავისუფლება და სალმრად წასვლა**. 3-მე მოქმედება **ახპინძის ომი**. 4 მე მოქმედება **სიკვდილი მტარვალისა**. 5-ე მოქმედება **სახრჩობელა**. 6—სურათი **ბრძოლის ველზე დახოცილნი**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: გუნია, გეგევანოვი, მატარაძე, საფაროვი, ციციშვილი, ჭელიძე, ზონელი, ალექსიძე და სხ.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია.

(3—1150—2) ადმინისტრატორი გ. თორდანიშვილი. რეჟისორი ვ. გუნია.

## პ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 20 მარტს 1911 წელს.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

**საგვედისწერო დამგარა** — დრამა 3 მოქმ. ტრ. რამიშვილისა. | **გუტიაობა** — ვოდ. 1 მოქმ. აკ. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გარე-კახელი, პიერრეტა, კახელი, ჩირგაძე, ბ-ნი ბიაშვილი, გამყრელიძე, გოცირიძე, მდივანი, მეტრეველი, იმერიკს, ფრონისპირელი, ნარი, რატიშვილი, ფრთაძე, ჭიაურელი და მარამიძე.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ბილეთები 5 კ. დან 50 კ.-მდე იყიდება კასაში დილის 10—2 ს. და სალამოს 6—9 საათამდე. (2—1151—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი** მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**კარშინი** ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი** გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე** ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი** გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი** ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მელიქიშვილი**. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე** შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ფირალოვი** რ. ხ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი** ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

**ხობოლევსკი** გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი** ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—422)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## არტისტიულ საზოგადოების თეატრსა და ზალეზში

ორშაბათს, 21 მარტს,

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება **საღამო**,

შემდეგ პროგრამით

განყოფილება პირველი. თეატრში. ქართულად ერთ-მოქმედებიანი პიესა:

### 1) გულმა იგრძნო.

რუსულად ერთ-მოქმედებიანი პიესა

### 1) И Г Р А.

საკონცერტო განყოფილება: როიალი—ნ. დ. ნიკოლაევი ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი. მელოდეკლამაცია—ნ. ი. ვოლკარსკაია და სიმღერა ვესელოვზოროვისა და ი. დოლუხანოვი. განყოფილება მეორე. ზალაში: 1) ძველ ტფილისში, უზუნდარა—ქ. მირიმანოვისა ბარ. კლეისტ. ლეკური *** 2) თანამედროვე პარიზში (კაბარე). 3) ციგნური ხორო, მოყვარულთაგან შემდგარი. შემდეგ 12 საათისა და ვახშმის დროს დაუკრავს რუმინთა ორკესტრი.

(3—1162—2) დასაწყისი სალამოს 8 საათზე. დაწვრილებით აფიშებში.

## სახაზინო თეატრი

შაბათს, 19 მარტს, დანიშნულია საუბარი ამ თემაზე:

### სიყვარული

ახალ მწერლობაში

1) მ ნ. ანდრეევი: სიყვარული ტურგენევისა და რუსეთის თანამედროვე მწერლების თხზულებაში, (არციბაშევი, გიპიუსი და სხვ.). 2) მ. ა. მუხარინსკისა: სიყვარული ჩ ხოვის თხზ ულ. 3) ლ. კ. გეპშტეინ: სიყვარული-სტიქია (კნუტ ჰამსუნი, ს. პშიბიშევსკი). 4) კ. ა. კოზლოვი: სიყვარული და იქვიანობა ტოლსტოის თხზ. 5) მ. ლ. ფრენკელი: სიყვარული და პორნოგრაფია. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. სალ 8 ს. ფასები 25 კ.—3 მანეთამდე. ბილეთები კასაში იყიდება დილ. 10—2 საათამდე და სალამოს 6—10 საათამდე. (2—515—1)

## ტფ. არტისტიული საზოგად. საკონცერტო დარბაზი

კვირას, 27 მარტს 1911 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესდგება

### ქართული სასულიერო კონცერტი

სასულიერო სემინარიის ხორო ბ-ნ ი. კარგარეთელის დირიჟორობით შეასრულებს ქართულ საეკლესიო საგალობლებს კლენოვსკისას, იპოლიტოვ ივანოვისას, ფალიაშვილისას, მონადირიშვილისას, კარგარეთელისას და კარბელაშვილისას.

დაწვრილებით აფიშებში. (11—1141—4)

## განცხადება

ავეტოვ-ლისიცკიანის ცირკის შენობა

### ◀ გრანდ-ვიო ▶

კვირას, 20 მარტს,

გაიხსნება არა-ჩვეულებრივი უზარმაზარი სინემატოგრაფი. დაწვრილებით აფიშებში. (3—1153—2)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჩაის თესლისა

## ს. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

### ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჩაის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—10)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, სალამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—5)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—338

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და სამაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზანება საგანგებო შეხავევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—25)

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან უფასოდ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

პ ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** 1090—18)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

### ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—65)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—25

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. N 20. (0—ნ.—75)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

**ექიმი** რ. დ. მაჩაბარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ—190—105

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ქირალოვის სახლი, (50—1[illegible]—46

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელიზაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—18)


## ტფილისი, 19 მარტი

**სტოლიპინი და ოქტომბრისტები.** ოქტომბრისტები ყოველთვის არწმუნებდნენ თავიანთ მოწინაამდეგეთ, ჩვენ ნამდვილი კონსტიტუციონალისტები ვართო. მიუხედავად ამისა სათათბიროს ეს ხელმძღვანელი პარტია მაინც ადასტურებდა მთავრობის ყოველ-გვარ მოქმედებას, თუნდაც იგი კონსტიტუციის დამრღვევიც ყოფილიყო. ოქტომბრისტები თავიანთ მოქმედებით ყოველთვის მხარს უმაგრებდნენ მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს, სტოლიპინს, რომელიც გარკვეულის გზით მიდიოდა წინ და სისტემატიურად ანხორციელებდა ერთხელ დასახულ რეაქციონური მიზნებს. სტოლიპინის მოქმედებით ოქტომბრისტები ყოველთვის კმაყოფილნი იყვნენ. მართალია ხანდახან მათი ორატორები თითქოს ოპოზიციონურს სიტყვებს ამბობდნენ, თითქოს უკმაყოფილებასაც აცხადებდნენ, მაგრამ საქმით მაინც სტოლიპინის მოქმედებას ადასტურებდნენ და ამით საშუალებას აძლევდნენ თავისუფლად განეგრძო გზა რეაქციის სრულს გამარჯვებამდე. სტოლიპინი აღიჭურვა ოქტომბრისტების ნდობით და ერთი მეორეზე უკიდურესი ნაციონალისტური კანონ-პროექტი განახორციელა. ფინლანდიის საკითხს ავიღებთ, თუ დასავლეთ გუბერნიებში ერობის კანონ-პროექტს, შეკითხვებს ავიღებთ თუ სხვა წვრილმან კანონ-პროექტებს,—ოქტომბრისტები ყოველთვის სტოლიპინს უჭერდნენ მხარს და ამით მის მოქმედებას ზნეობრივ ავტორიტეტსაც აძლევდნენ. ოქტომბრისტებს ბევრჯელ შეეძლოთ თავისი კონსტიტუციონალისტობა ეჩვენებინათ, მაგრამ ამის ნაცვლად მათ მხოლოდ ის გვაჩვენეს, რომ სტოლიპინის ყურ-მოჭრილი ყმები არიან, მხოლოდ მის გულის-ზრახვათა განხორციელებას უჭერენ მხარს. ამიტომ ოქტომბრისტებისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ის, რაც ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა. სტოლიპინის მოქმედება, 87 მუხლის ძალით საკანონმდებლო ორგანოს მიერ დაწუნებული კანონ-პროექტის დამტკიცება, ლოღიკურ დასკვნად უნდა ჩაითვალოს სტოლიპინის საერთო პოლიტიკისა, რომლის განმტკიცებასაც, სხვათა შორის, ოქტომბრისტებიც უწყობდნენ ხელს თავის ორჭოფობითა და კონსტიტუციონურ პრინციპების ღალატით.

ამას კარგად ხედავდა ყველა მიუდგომელი მეთვალყურე რუსეთის ცხოვრებისა, გარდა თვით ოქტომბრისტებისა, რომელნიც დღეს ასე ერთხმად აცხადებენ პროტესტს სტოლიპინის მოქმედების წინააღმდეგ. ოქტომბრისტები დღეს პროტესტს აცხადებენ, მაგრამ, ვეჭვობთ, რომ მათ კარგად გაითვალისწინონ დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურა და ისეთს გზას დაადგნენ, რომელიც შემდეგში მაინც იხსნის ამნაირს განსაცდელისაგან: მეტად ორჭოფ და კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით არა საიმედო ელემენტებისაგან შესდგება ოქტომბრისტების პარტია.

გუჩკოვმა, ნიშნად პროტესტისა, თავ-მჯდომარეობას თავი დაანება. ამით პასუხის-მგებლობაც აიცილა თავიდან. თქმა არ უნდა გუჩკოვი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. გუჩკოვს, რომელმაც თავისი თავი კონსტიტუციონურ მონარქიის მომხრედ გამოაცხადა, არას გზით არ შეეძლო თავმჯდომარეობა გაეწია იმ დაწესებულებაში, რომელსაც რაღაც წარმოუდგენელ, ჩვენთვის გაუგებარ მოსაზრებით პარლამენტს ეძახიან. გუჩკოვის გადადგომა ადვილი ასახსნელია, მაგრამ ის კი ძნელი წარმოსადგენია, რა გზას უნდა დაადგეს ოქტომბრისტების პარტია. თუ შეუძლებელია თავ მჯდომარეობა გუჩკოვისთვის, შეუძლებელი უნდა იყოს სხვა ოქტომბრისტისთვისაც. ლოღიკურად თუ ვიმსჯელებთ, თავმჯდომარის ადგილი უნდა დაიჭიროს ნაციონალურ ფრაქციის წევრმა, რადგანაც ეს ერთად ერთი ფრაქციაა, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა სტოლიპინს და რომელსაც, ოქტომბრისტების შემდეგ, მეტი საშუალება აქვს თავმჯდომარის არჩევისა. მაგრამ რანაირს სახეს მიიღებს ამ შემთხვევაში სათათბირო, რომლის თავმჯდომარედაც იქნება არა წევრი ხელ-მძღვანელ, ყველაზე ძლიერ პარტიისა? ეს ისეთი ანომალიაა, რომელიც მხოლოდ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებაშია წარმოსადგენი.

რა გზას დაადგება ოქტომბრისტების პარტია, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. დღეს-დღეობით კი შეი-

ძნელა ითქვას, რომ ოქტომბრისტები ბოლომდის ვერ მიაღწევენ თავიანთ პროტესტს. ამის ნიშნები უკვე სჩანს. ოფიციოზი „როსია" გადაჭრით აცხადებს, ოქტომბრისტთა ფრაქციის განწყობილება ამ ახლო მომავალში შეიცვლებაო. ფრიად სიმპტომატიური განცხადებაა!

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**კაზუსტინი თავმჯდომარეობს.**

საზღვაო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაზე კამათი გაგრძელდება.

**მარკოვი მეორე** თხოულობს, რომ წყალქვეშ მავალი ფლოტი გააძლიერონ; ამასთანავე **ჯავშნიან გემსაც** ზურგი არ უნდა შევაქციოთ, რადგან გარდამავალი ხანაა და აჩქარება საჭიროა: პოლიტიკური ჰორიზონტი ნისლითაა შებურვილი, შესაძლებელია ომმა უცბად იფეთქოს. წყალქვეშ მავალი ნავების შეძენა საზღვარ გარედაც შეგვიძლიან, სახელმწიფოს უშიშროება მოითხოვს, მხოლოდ რუსეთში ვაშენებდეთ გემებს. საზღვაო უწყებას ბევრი ძველი ვალები აქვს დარჩენილი. სათათბირო კი სესხს არ აძლევს რომ ვალებიდან განთავისუფლდეს. კანონ-პროექტი, რომელიც ამ უწყების ძველ ვალთა გასასტუმრებლად 14 მილიონ მანეთის გადადებას ითხოვს, წლობითა უძრავათა ძევს. გემთა შენების საქმე იმისთვის ბრკოლდება, რომ სახელმწიფო მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილია, მუშა ხელი უვიცი და გაუნათლებელია. საჭირო მანქანების შეკვეთვა უცხოეთში გვიხდება, საუწყებათაშორისო თათბირი სახელმწიფო კანტროლთან ერთად საზღვაო უწყებას მზრუნველებად გაჰხდომია, საქმეს კი აფერხებენ. თუ ამ მიზეზებს თავიდან არ ავაცილებთ, რაც უნდა სასტიკად მოვექცეთ საზღვაო უწყებას, გემები მაინც არ გვექნება (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**სავიჩი.** მარკოვის საყვედური ვითომც სათათბირო საზღვაო უწყებას ვალების გასასტუმრებელ ნათხოვნ სესხზე უარს ეუბნებოდეს ხოლმე, მართალი არ არის. სათათბირო მუდამ აკმაყოფილებდა უწყების მოთხოვნილებას. 14 მილიონი კი მან მხოლოდ თებერვალში ითხოვა. ამაზე დამატებითი ცნობები მოვითხოვეთ, რაც ჯერაც არ მიგვიღია.

**კუზნეცოვი** ასურათებს მეზღვაურთა ცხოვრების პირობებს და აცხადებს, კრონშტადტის 20 ათას მეზღვაურებზე საბუთებს წაგიკითხავო, საიდანაც დარწმუნდებით, რომ ფლოტის აფიცრები ფიზიკურ ზომებს მიჰმართავენ ხოლმე მეზღვაურთა ჩასაგონებლად. ორატორს ორი ასეთი შემთხვევა მოჰყავს.

(მარჯვნივ ხმაურობა და ხმები: „წაკითხვა არ შეიძლება"). ჩვენი ადმირალები მუშათა ზნე ჩვეულებას არ იცნობენ, მათ მხოლოდ ერთი იციან — ხალხის ქონების გაძარცვა. (მარცხნივ ტაშის ცემა).

**ჩელნოკოვი.** უკანასკნელ ომის გამოცდილება საზღვაო უწყებამ ვერ გამოიყენა. საზღვაო უწყება სამხედრო სამინისტროს თანხმობით არა მოქმედობს, ფლოტის საერთო მიზანი გარკვეული არა აქვს, ამისათვის გარკვეული არა აქვს, რა ტიპის გემებია საჭირო. ჩვენებს არ ვაშენებდით იმიტომ, რომ არ ვიცოდით, როგორი გემები გვჭირდებოდა. ბრმად მივდევთ უცხო სახელმწიფოებს და, შეიძლება წახედულობით ისეთ გემებსაც ვაშენებთ, რომელიც ჩვენთვის ყოვლად გამოუსადეგარია. წყალქვეშ მავალი ფლოტის საკითხი არსებითად დღევანდლამდე გადაუწყვეტელია. პირად შემადგენლობის დემორალიზაცია (დაქვეითება) უკიდურესობამდე მიდის, რის ცოცხალ ნიმუშსაც ვლადივოსტოკის 22 აფიცერთა პროცესი წარმოადგენს, რომელთაც ფულის გაფლანგვა ჰბრალდებოდათ. ფლოტის ალორძინება მარტო ფულის გადადებით არ შეიძლება. რუსეთი, როგორც ხმელეთის სახელმწიფო, უმთავრესად ხმელეთის ჯარზე უნდა ზრუნავდეს, ფლოტი კი მხოლოდ ხმელეთის ჯარის დამხმარეა ქვეყნის დაცვის საქმეში. თუ საზღვაო უწყება თავის არსებობის დანიშნულებას ვერ შეეთვისება, იგი ბუნებრივის სიკვდილით აღსრულდება და სამხედრო სამინისტროს სახით განახლდება (მარცხნივ ტაშის ცემა).

**მინისტრის ამხანაგი.** ორატორებმა აქ ბევრი მწარე სიმართლე სთქვეს, მაგრამ ძველი ცოდვებისათვის, დღევანდელ უწყების მოხელეთ ბრალი არა აქვთ. სათათბირო თავისის საყვედურებით გულს გვიტეხს და სამოქმედო ხალისსა და ძალ-ღონეს გვიქარწყლებს. როდესაც იტალია და საფრანკეთი საზღვაო ოპერაციებში დამარცხდნენ, ფლოტის მოხელეებზე კი არ გაულაშქრიათ, ფლოტის ალორძინებას მოჰკიდეს ხელი. საზღვაო სამინისტრო ხალხის წარმომადგენელთაგან საყვედურებსა და დაუსრულებელ გალაშქრებას კი არა, მხარის მიცემას ელის. სამინისტროს შავ ზღვაზე საზღვაო თავ-დაცვის ალორძინებას პირველ ხარისხოვან საჭიროებად მიაჩნია. ამის თაობაზე სათათბიროში კანონ-პროექტი უკვე წარმოვადგინეთ. უწყების ხარჯები მართალია იზრდება, მაგრამ ნუ დაივიწყებთ რომ მხოლოდ სავარჯიშო სროლაზე 5 მილიონი გვეხარჯება. ეხლა მოთხოვნილი გვაქვს დიდ-ძალი თანხა საომარ მასალის ასაღორძინებლად. თავდაცვის გეგმა გვაქვს: იგი შემუშავებულია სამხედრო, გარეშე საქმეთა, ფინანსთა და საზღვაო მინისტრთა შეთანხმებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. უკანონობის ჩამდენნი შესაფერად დავსაჯეთ. **შინგარევმა** გუშინ სთქვა, ნიკოლაევის ქარხანაში, სადაც წყალქვეშ მავალი ნავია შეკვეთილი უცხოელებიც მონაწილენი არიანო. ნიკოლაევის ქარხნის დირექტორი წერილით მატყობინებს (წერილს კითხულობს), რომ არც გერმანელი, არც ავსტრიის ვიცე-კონსული ქარხნის საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებენო. (მემარჯვენენი და ნაციონალისტები ტაშს უკრავენ).

**პურიშკევიჩი** აცხადებს: საზღვაო უწყების ყველა ნაკლთა განხილვა კომისიებში უნდა და არა საერთო სხდომის ტრიბუნიდან, რადგანაც ეს რუსეთის ფლოტში ჩაჰკლავს რწმენასა და სულს. ორატორი სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის მთლიან მიღებას ემხრობა.

**შინგარევი.** უწყების მამხილებელთ ქვეყნის დაცვაზე მზრუნველობა ჰხელმძღვანელობს; მათ ჰსურთ საზღვაო უწყება იმ ქაობიდან ამოიყვანონ, სადაც იგი ჩაფლულია.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**გოდნევის** მოხსენებით სახელმწიფო კანტროლის ხარჯთ-აღრიცხვა 10,798,462 მანათს უდრის.

**შინგარევი.** სახელმწიფო კანტროლი მინისტრთა საბჭოს თანაზიარია და საერთო პოლიტიკაში ჩაირევა; ხოლო სადაც პოლიტიკაა, იქ მიუდგომლობა არ არსებობს. წარმომადგენლობით დაწესებულებათა დაარსებიდან სახელმწიფო კანტროლის მოღვაწეობას უკან-უკან სვლა ემჩნევა. სათათბირომ უნდა მოისურვოს, სახელმწიფო კანტროლი მინისტერთა საბჭოსაგან გამოაცალკევოს, რათა კანტროლის მწარმოებელნი მხოლოდ თავის სინდისის და მოთხოვნილებით ხელმძღვანელობდნენ (მარცხნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**ეროშკინი** სახელმწიფო სესხის ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობს, რომელიც 407,265,679 მან. უდრის. 1911 წელს 40 მილიონ სახელმწიფო ვალის გასტუმრება შეიძლება, რაც ყოველ წლიურად ვალში მისაცემ თანხას 2,250,000 მანეთით შეამცირებს. განზრახულია ამ საქმეზე ნაღდი ფული არ დაიხარჯოს, ხოლო სახელ. ხაზინის 150 მან. სერიები გამოისყიდონ, რაც ვალებს ყოველ წლიურ გასასტუმრებელ თანხას 6 მილიონ მანეთით შეამცირებს.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის აღნუსხვით ღებულობენ.

**მარკოვ-მირქვლის** მოხსენებით გზათა სამინისტროს საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვა 94,478,900 მანათს უდრის.

ხარჯთ-აღრიცხვას ღებულობენ.

**ერგარდტის** მოხსენებით 5 პროცენტიან 1884 წლის ოქროს რენტისა და მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის 1884 წლის ხუთ პროცენტიან ობლიგაციების გამოსასყიდად ღებულობენ კანონ-პროექტს, რომლითაც ამ საქმისათვის 44,900,000 მანათი უნდა გადაიდოს.

**ხვალინდელ ნომერში ექვსი გვერდია, სურათებიანი დამატება — ჩვეულებრივი.**

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრე** იწვევს სცენის მოყვარეთ მუდმივ დასში ჩასაწერად. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ყოველ დღეს 5 საათიდან წრის კანტორაში, რომელიც მოთავსებულია ნაძალადევის თეატრთან.

✦ კვირას, 20 მარტს დილისით, 11 საათიდან, ნაძალადევის თეატრში გაიმართება **ბავშვებისათვის უფასო კითხვები** რუსულ-ქართულ ენებზე ბუნდოვანი სურათებით. ბავშვების კითხვების შემდეგ ბ-ნი ნ. ე. ერმოლაევი დიდებისათვის წაიკითხავს ლექციას „იოანე მრისხანეზე". ლექციაზე დასწრება უფასოა.

✦ კვირას, 20 მარტს ნაძალადევის თეატრში სვ. სვიმონიძის რეჟისორობით **წარმოდგენილი** იქნება დრამა „და ძმა" ქ-ნ ს. რომანიშვილის და ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

✦ დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება **ქალაქის საუნივერსიტეტო კომისიას.** კრებაზე კომისიამ უნდა გადასწყვიტოს, როდის, ან როგორ მოიწვიოს ტფილისში ყველა იმ პირთა საერთო კრება, რომელთაც კავკასიის უნივერსიტეტს დახმარება აღუთქვეს, ან თანაუგრძნობენ ამ საქმის ჩქარა დაგვირგვინებას.

✦ 20 მარტს **სახალხო სახლში** მ. ვ. ნასიძე რუსულად ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „იაფფასიან ბინების მოწყობის საჭიროება".

✦ გუშინ დილით ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა **ტფილისის გუბერნატორი ლოზინა-ლოზინსკი.**

✦ ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით 7 დღით **იქმნა დაპატიმრებული** საპოლიციო უბნის ზედამხედველი სპირიდოვი ტფილისის მცხოვრებ ტერ-გრიგორიანთან უზრდელად მოქცევისათვის.

✦ დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილმა **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა** 100 მანათი; ბათუმის ქართულ სკოლას —50 მანათი, საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებას — 200 მანათი.

✦ კვირას, 20 მარტს, ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა **შემნახველ-გამსესხებელ კასის** წევრთა კრება მოჰხდება, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება 1910 წ. მოქმედების ანგარიში, განაწილებულ იქნება კასის მოგება და არჩეულ იქმნებიან გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი წევრნი.

✦ როგორც ტფილისში მოსული კერძო დეპეშები გადმოგვცემენ, **ცნობილი მდიდარი ა. ი. მანთაშევი,** რომელიც ამას წინად ავად გახდა, ახლა უკეთ არის.

✦ **ფილ. საგურინიო სამმართველოს** უკანასკნელი კრება 9 მარტს მოჰხდა, რომელზედაც დადგენილ იქმნა: 1) სასამართლოში მისცეს ქალაქის მეექვსე საპოლიციო უბნის ზედამხედველად ნამყოფი ლუკა სლობოდიანიუკი იმის გამო, რომ უკანასკნელმა დაპატიმრებულს არშაკ ბაბუროვს თუთუნის მოსაწევად ქუჩაზე გასვლის ნება მისცა, რითაც პატიმარმა ისარგებლა და დაიმალა და 2) საჯარიმოში მისცეს მეორე საპოლიციო სამმართველოს მსახური კირილე კოკურია, რომელმაც ტფილისის მცხოვრებს პოგოსოვს ხელით შეურაცყოფა მიაყენა.

✦ **გუშინ დილით დააპატიმრეს და ციხეში გაჰგზავნეს** ცნობილი ჟურნალისტი ს. კ. მიხაილოვი (ს. ტერეჩანინ), რომელიც 15 წელიწადზე მეტი „ტიფ. ლისტოკ"-ში მსახურებდა და ამავ გაზეთში [illegible] დაბეჭდილ წერილის გამო [illegible] მიცემული. ბ-ნს მიხაილოვს სათავდებო ფულად 1000 მან. სთხოვდნენ, მაგრამ, რადგანაც ფული ვერ იშოვა, დაპატიმრებულ იქმნა. საქმეს 4 აპრილს გაარჩევს ტფ. სასამართლო პალატა.

✦ **ტფ. საბალოსნო სასწავლებლის** უფროს კლასის მასწავლებელნი პრაქტიკულ სამუშაოსათვის კერძო მესაკუთრეთა მამულებში გაიგზავნენ, რკინის გზის სადგურ „სკრას" მახლობლად.

✦ ტფ. გუბერნატორმა ქ-ნ მთვარელიშვილისას ნება დართო, თელავში **წარმოდგენა გამართოს** იქაურ საზოგადო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

✦ როგორც ხმები დადის, **კახეთის რკინის გზის** მთავარ ინჟენრად ნიშნავენ გზათა უწყების ინჟენერს ა. ტ. რაციბორსკის, რომელიც ამ ჟამად ბორჯომ-ყარსის გზას იკვლევს.

✦ მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს სახაზინო თეატრში **საინტერესო საუბარი** გაიმართება შემდეგ თემაზე: „სიყვარული ახალ რუსულ პოეზიაში":

მ. ა. მუხრანსკაია: „სიყვარული ჩეხოვისა". მ. ნ. ანდრეევი: „სიყვარული ტურგენიევისა და სხვა ახალ მწერლებისა (არციბაშევისა, გიპიუსისა), დ. კ. გეპშტეინი: „სიყვარული—სტიქია" (კ. გამსუნი და პშიბიშევსკი), ა. კ. კაზლოვი: „სიყვარული და ეჭვიანობა" ტოლსტოისა, მ. დ. ფრენკელი: „სიყვარული და პორნოგრაფია." ბილეთების ფასი 25 კ.—3 მან.

✦ **გ. დ. ჟურული ტფილისში** დღეს მოელიან.

✦ **ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების საქმის** გარჩევა ჯერ არ დამთავრებულა. ოლქის სასამართლომ გუშინ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა განაგრძო. უფრო ვრცელს ანგარიშს და სასამართლოს განაჩენს მკითხველთ თავის დროზე ვაცნობებთ.

✦ დღეს **ნამესტნიკის საბჭოს** კრება მოჰხდება.

✦ ამ დღეებში ნამესტნიკის კანცელარია ნამესტნიკის წარმომადგენელს სენატორ ნიკოლსკის პეტერბურგში უგზავნის ყველა იმ მასალას, **რომელიც ტფილისში უნივერსიტეტის გახსნას შეეხება.** ბ-ნი ნიკოლსკი ამ მასალებს გამოიყენებს საუწყებათაშორისო თათბირზე, რომელიც მოკლე ხანში პეტერბურგში დაიწყება.

✦ 17 მარტს **დიდუბის ქუჩაზე მთვრალმა კაცებმა ზაქარია ჩაჩანიძემ და გიორგი გეტენაშვილმა სიმთვრალის დროს ერთმანეთი დასჭრეს. ორთავენი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.**

# დროებით ვალდებულ გლეხების სახნავ მიწების რაოდენობა საქართველოში

2.

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ რაოდენობა ტფილისის გუბერნიის იმ სახნავ-სათეს მიწებისა, რომელიც მოქცეულია დროებით ვალდებულ გლეხების ხელში. ეხლა კი ყურადღებას მივაქცევთ დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის გუბერნიას, სადაც დროებით ვალდებულ გლეხების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უარესია.

დასავლეთ საქართველოში გლეხკაცობის არც ერთი კატეგორია არ არის ისე ძალიან შევიწროვებული ნივთიერად, როგორც დროებით ვალდებულნი. ქუთ. გუბერნიაში დროებით ვალდებულ გლეხების გარდა ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ეკონომიურად ისე მრავალ-რიცხოვანების მხრით, კერძო მესაკუთრეებს. ესენი შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან, თუმცა მიწის სივიწროვე ხშირად იმათაც აიძულებს, თავად-აზნაურთაგან აიღონ მიწები იჯარით.

კერძო მესაკუთრეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში 1882 წელში უდრიდა 96,912 კომლს, ე. ი. ორთავე სქესის 245,308 სულს. ამ კერძო მესაკუთრეთა ხელში ირიცხებოდა ამავე ხანებში სულ 24,451 დესეტინა მიწა, ე. ი. ორთა-შუა ანგარიშით თვითეულს კომლზე მოდიოდა 0,25 დესეტინა, ხოლო სულზე 0,09 დესეტინა. კერძო მესაკუთრე გლეხებ შორის საწარმოებელი მიწა-წყალი მეტის-მეტად არის დაქსაქსულ-დანაწილებული. დიდი მასა კერძო მესაკუთრე გლეხკაცობისა წვრილი მეძლების ხალხია. მაგალითად მთელი 61% 0—2 დესეტინიან მიწის მესაკუთრეებს შეადგენენ, 28% შეადგენს 2—4 დესეტინიანს და რაღაც 11%-ს მოსდის 8 დესეტინა.

გარდა კერძო მესაკუთრე გლეხებისა, დასავლეთ საქართველოში აქა-იქ ცხოვრობენ ხიზნები. რადგან ხიზნებზე ამ ჟამად არ ვაპირებთ სპეციალურ წერილის დაწერას, ამიტომ ხიზნებზე მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვით.

ხიზნები დასავლეთ საქართველოში რიცხვით მეტის მეტად მცირეა. მთელ გუბერნიაში მხოლოდ 8,2 ათასი სული ირიცხება მამობრივ სქესის (ტფილისის გუბერნიაში ხიზნების რაოდენობა უდრის 6774 კომლს 84—85 წ.წ. გამოკვლევით) ყველაზე მეტად ხიზნებით დასახლებულია ზუგდიდის მაზრაში (სამეგრელო)—5,1 ათასი სული მამობრივ სქესისა (ტფილ. გუბ. ხიზნები უმთავრესად დასახლებულია გორის მაზრაში—3,222 კომლი, მთელ გუბერნიის 47,56 პროც.), მეორე ალაგი შორაპნის მაზრას უჭირავს, მესამე ლეჩხუმს... (ტფილ. გუბ. გორის მაზრის შემდეგ მოდის ბორჩალოს მაზრა—20,43 პროც., დუშეთის—12,83 და სხ.)

ხიზნების მიწადსარგებლობის რაოდენობა მეტად მცირეა. სახნავ-სათეს მიწის რაოდენობა უდრიდა 4141,8 დესეტინას, ე. ი. მწარმოებელ მამა-კაცზე მოდის 0,5 დესეტინა (ტფილ. გუბერნიაში უდრიდა (სახნავ მიწ.) 2,93 დეს. კომლზე, თითო მწარმ. გლეხზე კი —0,77 დეს.)

ნივთიერი ყოფა-ცხოვრება მათშიაც არ იძლევა ერთფეროვან სურათს. ხიზნებ შორისაც არის ისეთი ელემენტები, რომელნიც სრულებით მოკლებულია სახნავ-სათეს მიწაზდგილს. პირველი ალაგი აქაც ზუგდიდის მაზრას (სამეგრელო) უჭირავს. მთელ მაზრაში 133 კომლია სახნავ-სათესი მიწა რომ არ გააჩნია, მეორე ალაგი ასეთ ბედნიერებაში უჭირავს ოზურგეთის მაზრის—129 კომლი, მესამე ქუთაისის—75 კომლი.

დროებით ვალდებულ გლეხების მდგომარეობა კი ყველა სხვა ელემენტებისაზე უარესია.

ბატონ-ყმობის მისპობის დროს, 1869 წელში, „уставная грамота"-ს ცნობებით, მთელ ქუთაისის გუბერნიაში ირიცხებოდა დროებით ვალდებულ გლეხების 48,261 კომლი. ყოფილი ბატონები დაუძლურებულები იყვნენ, მათი ეკონომიურ ცხოვრების დეზორგანიზაცია გასაოცარის სისწრაფით სწარმოებდა, მაგრამ დროებით ვალდებულემა მაინც ვერ მოახერხეს თავის გამოსყიდვა, რადგანაც თვითონაც ძალიან იყვნენ დაუძლურებულნი, თვითონაც ვერ გაემაგრებინათ წელი ეკონომიურად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დასავლეთ გუბერნიებში ბატონ-ყმობის მისპობის დღიდან ოც წელიწადზე მეტი გავიდა და მხოლოდ 23,4 ათას კომლის დროებით ვალდებულ გლეხს გამოუსყიდია თავისი ნადელი. მთელი 24,9 ათასი კომლი დრ. ვალდებულებისა კვლავ ჩარჩა თავად-აზნაურობის უღელში. თავდახსნილ 23,407 კომლს თავიანთ ნადელების გამოსყიდვაში თავად-აზნაურობისათვის მიუცია 1888 წლებამდე 4,833,258 მან. 104,164 დესეტინა მიწა-წყალში. დროებით ვალდებულებსა ორთა შუა ანგარიშით, დესეტინა დაუხსნიათ 46,30 მანეთად. დახსნილი მიწის რაოდენობა თვითეულ კომლზე უდრის 4,45 დესეტინას. ასე რომ, თვითეულ კომლს თავის მიწის დასახსნელად მემამულე თავად-აზნაურობისათვის მიუცია 210,67 მანეთი. ასე მოდის საშუალო ანგარიშის თანახმად, რადგანაც 4,45 დეს. მრავლისაგან მრავალ დროებით ვალდებულ გლეხებს არ გამოუსყიდია. ასე მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 0-2 დესეტინამდე გამოუსყიდნია სულ 3,584 კომლს, რაიც შეადგენს დროებით ვალდებულების 31%, 2—4-დესეტინამდე დაუხსნია 2,960 კომლს, ე. ი. 26%, 4—6 დეს-მდე —2,194 კომლს ანუ 21%, 6—15 დეს—მდე კიდევ ნაკლებს, სახელდობრ—19%, 15—30 დეს.-მდე —335 კომლს—2% და 30 დესეტინაზე მეტი—1%.

სხვა რომ არა იყოს რა, ეს ცნობებიც აშკარად გვიხსნიან, ერთ მხრივ, დროებით ვალდებულ გლეხების კლასობრივად დანაწილებას, ხოლო მეორე მხრივ, დროებით ვალდებულ გლეხთა ფართე მასის მეტის მეტად სივიწროვეს, რაიც აშკარად გამოიხატება ნოლებიან ნადელებში და უფრო ხშირად ამ ნოლებიან ნადელების დაუხსნელობაში. მთელ კომლს 1 დესეტინა მიწის გამოსასყიდად სჭირდებოდა 46,3 მანათი.; მაშასადამე, სულზე სულ რაღაც მანეთები იყო საჭირო, მაგრამ გლეხების უმრავლესობას ამის შეძლება კი არა ჰქონდა. გამდიდრებული გლეხები კი 15, 20, 30 დესეტინაზე მეტს ყიდულობდა და თავის მდგომარეობას აუმჯობესებდა.

დიახ, დროებით ვალდებულნი მეტის-მეტად იყვნენ შევიწროებულნი და დღესაც არიან. მათ ხელში სახნავ-სათესი და სხ. საკუთარი მიწა-წყალი მეტის-მეტად მცირე იყო, სანადელო აგრეთვე მცირე და მძიმე პირობებში აღებული. რამდენიმე ცნობებს გვაწვდის სტატისტიკა ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრების დროებით ვალდებულთა სვე-ბედზე. საჭიროდ მიგვაჩნია ეს სტატისტიკური ცნობები გამოვიყენოთ, რომ დავინახოთ დროებით ვალდებულ გლეხების მდგომარეობა ციფრების საშუალებით. დროებით ვალდებული გლეხები ირიცხებოდა 1875 წლის აღწერით:

| მაზრებში | კომლი | სული ორთ. სქ. |
|---|---|---|
| შორაპნის | 7,729 | 57.058 |
| ოზურგეთის | 6,390 | 23,293 |
| ლეჩხუმის | 2,640 | 21,607 |
| რაჭის | 3,059 | 26,425 |

აქ თქვენ ხედავთ დროებით ვალდებულ გლეხების ეთნოგრაფიულ დანაწილებას მაზრებში, რის კომენტარიები ზედმეტია, აღვნუსხოთ ეხლა, თუ რამდენი მოდის კომლზე და სულზე საკუთარი და სანადელო მიწები. საერთოდ მოდიოდა;

| მაზრებში | საკუთ. სახ. და სათიბი | სანად. სახ. და სათიბი |
|---|---|---|
| შორაპნის | 449,4 დეს. | 14.368,6 დ. |
| ოზურგეთ. | 71,9 „ | 4.254,2 „ |

✦ 6 მარტს თავის ნებით სადღაც წავიდა კავკასიის მეორე მსროლელთა პოლკის ახალი ჯარის კაცი აბრამ რაფაელ იერუსიმოვ ხანინი და მას შემდეგ პოლკში აღარ დაბრუნებულა. ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებსა და მაქებარ პოლიციის უმფროსს დაავალა, ზომები მიიღონ მის მოსაძებნად.

✦ მარტის დამლევს მოხდება საზოგადო კრება სასტუმრო საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. კრებაზე განხილული იქნება გასული წლის ხარჯთაღრიცხვა, საბჭოს მოქმედების ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ნაძალადევში თონანი (ფადაპრავოდი) იდება მხოლოდ სამ საათის შემდეგ, რის გამო ამ კუთხის მცხოვრებნი დროზე წყალს ვერ შოულობენ. გამგეობა ამ საქციელს, თურმე იმით ამართლებს, რომ ნაძალადევის თონანი ხარჯებს ვერა ფარავსო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ ქუთაისი. ჭადადადის საზოგადოების ოთხს დაზარალებულ სოფლის სასარგებლოდ შეგროვილია 591 მ.

15 მარტს ქუთაისში ჩავიდა ტფ. სასამართლო პალატის თავმჯდომარე დ. ტ. ს. დაგოდა.

✦ 20 მარტს ტფ. სახაზინო პალატის შემნახველ გამსესხებელ კასის წევრთა კრება მოხდება.

✦ 17 მარტს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 25 უპასპორტო.

✦ 15 მარტს პეტერბურგიდან ჩამოვიდა სტუდენტების პირველი ექსკურსია. მეორე ექსკურსია იქიდგანვე უკვე გამოსულა.

✦ მომავალ კვირაში გამოვა პირველი ნომერი ყოველ თვიურ ჟურნალის „წერა-კითხვის საზოგადოების მოამბი“-სა

✦ ბ. ვ. გუნიასათვის გადაუციათ ახალი ისტორიული დრამა „საქართველოს მეფე ირაკლი მეორე“, ბ-ნ მცხეთელისა.

# ისევ თელავის არჩევნებზე

მართალია ქალაქის რწმუნებულთა არჩევნების ანგარიში უკვე იყო მოთავსებული „სახალხო გაზეთში“, მაგრამ ეს არჩევნები, ე. ი. სომხების არჩევა და ქართველების გაშავება, ისეთი საყურადღებოა, როგორც ტეხნიკურად, ისე შინაარსით და შედეგებითაც, რომ მეტი არ იქნება მკითხველსაც გავაცნოთ იგი.

რაც თელავში თვითმმართველობა არსებობს, თუმცა სომხები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ ქართველებსაც ჰყავდათ თავისი წარმომადგენელნი. მართალია ესენი მცირე-რიცხოვანი იყვნენ, და ვერც ვერაფრის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ მაინც ხომ ითვლებოდნენ და ესეც საკმარისი იყო, რომ აქაურ სომხებისათვის ნაციონალისტობა არავის დაეწამა. თურმე ეს 2-3 კაციც სასურველი არა ყოფილიყო მათთვის და განეზრახათ მათი განდევნა, რაც ბრწყინვალედ შესრულეს 27 თებერვალს, როცა 15 ხმოსნიდან ყველანი სომხები აირჩიეს, ხოლო ქართველები გააშავეს.

ამისათვის სომხები უნდა მომზადებულიყვნენ და, მართლაც, ისეთი თავდარიგი და სამზადისი დაეჭირათ, რომ არჩევნებისათვის ბევრნი ჩამოსულიყვნენ არა თუ თელავის, არამედ თიანეთის მაზრის სოფლებიდანაც კი.

ყველანი ისე იყვნენ დარაზმულნი იერიშის მისატანად (საბედნიეროდ მტერი არსადა ჩანდა), რომ ნიშნის მიცემა საჭირო აღარ იყო. ვინც უნდა ყოფილიყო, „იანცი“-ს ყუთში თეთრი უნდა ჩაეგდო, ხოლო „შვილი“-ს ყუთში შავი, მაგრამ ამის და მიუხედავად, არჩევნების მეთაურებს სულწასულობა ძალიან ეტყობოდათ.

რასაკვირველია არჩევნებზე გარეშენი არ დაუშვეს, მაგრამ ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი მაინც გვერდში ამოსდგომოდა ქალ. მამასახლისს თათუზოვს და ქაღალდებში ფათურობდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, სომხის სკოლის მასწავლებელი და სომხურ გაზეთის კორესპონდენტი ყოფილიყო. სხვა გაზეთის წარმომადგენლები მაგიდასთან არა ჩანდნენ.

თუმცა არჩევნებში ბევრი უკეთესი პირი მოიძებნებოდა, მაგრამ გ. თათუზოვს ასისტენტებად ამოურჩევია კომ. ზინგერის აგენტი საფაროვი, ბაზაზად ნამყოფი ბარძიმოვი და თავისი მონათესავე ტერ-არუთინოვი— სამივე სომეხი, მეოთხე ქართველი ცისკარაშვილიც ჩაურევია. წინ და წინვე ცხადი იყო, რომ ყველა ესენი კენჭსაც იყრიდნენ.

დასახელებულ კანდიდატთა შორის სომხები მეტნი ალმოჩნდნენ. დაუდგეს ყუთები, რომელთა შორის ოთხივე ასისტენტის ყუთიც ერია. სამი ასისტენტი ყუთებთან იდგნენ, კენჭებს უთვლიდნენ, ვინაობას ეუბნებოდნენ და თითით უჩვენებდნენ. როგორც დანამდვილებით გამოიტანეს ამბავი, ორი მათგანის თითი სომხის ყუთზე თეთრ მხრისკენ მიდიოდა თურმე, ხოლო ქართველის ყუთზე შავისკენ. ამას გარდა, რადგანაც თელავში ბევრს გვარით კი არა, ხელობით იცნობენ, მაგ. მენავთე გიგოლა, მესაათე საშა, ლამბანდი ნასყიდა, მეთევზე მიხაკა, ლევანიანთ მიხა და სხვ., ასისტენტებიც ასევე უსახელებენ კანდიდატებს ამომრჩეველთ.

ამომრჩეველთა შორის სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ და ამ ცერემონიალების შემდეგ ცხადი იყო გამარჯვება. წინა დღესვე და იმ დილითვე გაიგონებდით ესა და ეს იქნება არჩეულიო. ასეთი სამზადისის შედეგი, რასაკვირველია, ბრწყინვალე და საუცხოვო უნდა ყოფილიყო, და მართლაც, აირჩიეს სულ სომხები, გააშავეს სულ ქართველები და ერთადერთი რუსი; მაგრამ ვინ აირჩიეს და ვინ გააშავეს, ესეც ინტერესს მოკლებული არ არის.

აირჩიეს ბაზაზად ნამყოფი ბარძიმოვი, გააშავეს თელავ-თიანეთის მაზრ. თავ.-აზნ. წინამძღოლის მოადგილე თავ. ჭავჭავაძე. აირჩიეს ბეგიჯანოვი —მეთევზე, გააშავეს ერთად ერთი რუსი ევსტაფიევი 30 წლის ნამსახური, ერევნის ყოფილი პოლიციის უფროსი, აირჩიეს კოხტიევი—ბოჭკების ქარხანა აქვს, გააშავეს ერთადერთი ფარმაცევტი, ყოფილი ხმოსანი მ. ცისკარაშვილი, აირჩიეს ქოლოუევი—მენავთე, გააშავეს თავ.-აზნ. მარშლის მდივანი, ძველი ხმოსანი და ოპოზიციონერი ივ. პაატაშვილი, ამისთანა მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

არჩეული რწმუნებულთა ნათესაური კავშირიც საყურადღებო ამბავს წარმოადგენს. მამასახლისად ეხლა გ. თათუზოვია, იმის თანაშემწედ მისივე ბიძაშვილი თათუზოვი, რომელსაც ფეხსაცმლის და შლაპების მაღაზია ჰქონდა, ამათ მესამეც მიუმატეს. ამნაირად ქალაქის რწმუნებულად აირჩიეს სამნი თათუზოვები, ერთმანეთის ბიძაშვილები, მეოთხე ტერ-სარქისოვი პირველ თათუზოვის სიძე, მეხუთე ბარძიმოვი, ერთ-ერთ თათუზოვის ბიძაშვილი, მეხუთე ტერ-არუთინოვი ერთ-ერთ თათუზოვის ქვისლი. ასე, ეს 5 კაცი ერთმანეთის ნათესავები არიან, დანარჩენები—კიდევ მეზობლები, ნათლი-მირონნი და ამხანაგ-მეგობრები, მაგ., ყულიჯანოვი ყოფილ თანაშემწე და სხვ.

რამ აიძულა თელაველი სომხები ასეთი იერიში მიეტანათ არა თუ ქართველებზე, არამედ ერთად-ერთ რუს კანდიდატზე, ძნელი ასახსნელია, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, ბოროტი ენები უმატებენ, საერთოდ მართლმადიდებელნი არ ისურვეს, უნდოდათ მარტო გრიგორიანები ყოფილიყვნენო, მაგრამ ეს მართალი არ არის, ვინაიდან გაშავებულთა შორის ერთი სომეხიც იშხანოვი ურევია, რომელიც, როგორც ხმოსანი, მამასახლის თათუზოვის წინააღმდეგ მიდიოდა თურმე.

ეხლა, როცა არჩევნების მეთაურთ გული დაიარხეინეს, ამბობენ, ასეთი არჩევნებით სომხებიც არ არიან კმაყოფილნი, ნანობენ კიდეცო და სხვაგან ეძებენ ამის მიზეზებს, თორემ ჩვენ ხომ ძველი მეზობლები და ერთმანეთის ძმები ვართ და რათ გაგვაშავებდითო.

ეს სინანული რომ გულწრფელი ყოფილიყო, მაშინ მათ იქვე უნდა თავი დაენებებინათ ხმოსნობისათვის, ან განესაჩივრებინათ, რომ ახალი არჩევნები მომხდარიყო და ერთმანეთის შეთანხმებით ემოქმედათ, მაგრამ ვაი რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი.“ **თ—ველი.**

# ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნების“ რედაქტორების საყურადღებოდ.

(გაკვრით)

…„მოკეთეს პირში უძრახე“…
ხალხური თქმულება.

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენ დროში ქართული ლიტერატურა—საზოგადოდ და განსაკუთრებით—სიტყვა-კაზმული, კრიზისს განიცდის. პირდაპირ სირცხვილია კალმა განათლებულ უცხოელთან აღიაროს, რომ იმ ორ-მილიონ-რიცხოვან ერს, რომელსაც რამდენიმე საუკუნე კულტურული ცხოვრება გამოუვლია, ეხლა, ჩვენ დროში, არ მოეპოვება ერთი-ოროლა ხეირიანი ყოველთვიური და ყოველ კვირეული ჟურნალი. სერიოზულ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებს ხომ დიდი ხანია ვეღარ ღირსებია ქართველი მკითხველი. ამ სამწუხარო მოვლენის ასახსნელად ბევრი საყურადღებო აზრი გამოითქვა ჩვენ პრესაში ამ ორიოდე წლის წინად, მაგრამ ამ მიზეზების აღნუსხვის დროს ერთი რამ არ იყო, ან, უკედ რომ ვსთქვათ, სავსებით არ იყო სახეში მიღებული. ჩვენ დიდი ხანია გავიარეთ ის ხანა, როცა ლიტერატურას უყურებდნენ როგორც მაძღარ სადილის შემდეგ თავის გასართობ საშუალებას. ეხლანდელი ქართველი მკითხველი სულ სხვა თვალით უყურებს პრესის დანიშნულებას და ადვილადაც შეაქცევს მას ზურგს, თუ იგი არ აკმაყოფილებს ახლანდელ მკითხველის განვითარებულ სულიერ მოთხოვნილებას. მოგეხსენებათ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ხანაში, როცა ყოველგვარი ნაყოფი შრომისა ფიზიკურია იგი, თუ გონებრივი, მხოლოდ მაშინ ხარობს და ვითარდება, როცა მასზედ არსებობს მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილებას კიდევ აძლიერებს თვით ღირსება ნაწარმოებისა,—შრომის ნაყოფისა, რომელიც, თავის მხრივ, თანდათან მაშინ უმჯობესდება, როცა ამ ნაწარმოებთა შორის არსებობს შეცილება, ან, როგორც ამბობენ, კონკურენცია. რომელი ნაწარმოებიც ამ შეცილებაში მარცხდება, მარცხდება მასთანვე მისი მწარმოებელიც ცხოვრების სახსარის მოპოვებაში.

ვინც ახლოს დაჰკვირვებია და გაცნობია ჩვენ მწერლების ლიტერატურულ მოღვაწეობას, იმან კარგად უწყის, რომ თითქმის ყველა მათგანი თავის საუკეთესო და უმთავრესს დროს შრომისას ანდომებს სხვა რამ კერძო საქმეს და ლიტერატურისათვის კი, რაიც უნდა ითხოვდეს უფრო დიდ და საუკეთესო ხანს მოსაფიქრებლად და სამუშაოთა, ის სწირავს ძალიან მცირე დროს და მომზადებას. ასეთ ზერელე შრომის ნაყოფს შეუძლია კი კონკურენცია გაუწიოს რუსეთის ლიტერატურას, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფება ჩვენებური მკითხველიც?!

რა თქმა უნდა ჩვენი მწერლების საერთო რიცხვიდან საბედნიეროდ გამონაკლისს შეადგენენ თითო-ოროლა ისეთი პირნიც, რომელნიც მთელ თავის დროს ანდომებენ თვის მოწოდებას და რომელთაც თვისი თავგანწირული, უანგარო შრომა-მეცადინეობით და მადლიანის ნიჭის წყალობით დღემდის მოუტანიათ შობლიური ლიტერატურა, მაგრამ არსებობაც არის და არსებობაც…

ჩვენის აზრით, მხოლოდ მაშინ გაცხოველდება და საგრძნობელი ნაყოფიერი იქმნება ჩვენი ლიტერატურა საზოგადოდ და კერძოდ სიტყვა-კაზმული, როცა ის შესძლებს შეეჯიბროს რუსულ ლიტერატურას და პასუხი გასცეს თანამედროვე, შედარებით სერიოზულ მკითხველის ბევრს საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

ეს არც იმდენად ძნელია, როგორც ბევრსა ჰგონია: ჩვენა გვყავს საგრძნობელი რიცხვი ინტელიგენციისა, რომელთა ლიტერატურულ შრომას აშკარად ატყვია შემოქმედების უტყუარი ნიჭი, მაგრამ იმათ დაქსაქსულ და ნაწყვეტ-ნაწყვეტურ შრომას საყურადღებო ნაყოფი ვერ გამოუღია. რომ თანამედროვე პერიოდულმა ორგანომ მკითხველი მოიზიდოს, საჭიროა შეერთებული, კოლექტიური შრომა იმ მწერლებისა, რომელთაც ჯეროვანი მომზადება აქვთ, მართლაც გულწრფელად უყვართ სამშობლო ლიტერატურა. არც იმდენად საფუძვლიანია იმით თავის მართლება, რომ ჩვენში პერიოდულ გამოცემას გასავალი არა ჰქონდეს: შეკავშირებული ძალით, სერიოზულად და პირნათლად დაყენებული ორგანო ყოველთვის იშოვის საკმაო რიცხვს მკითხველებისას და ამით შეძლებასაც მოიპოვებს სასყიდელი გაიღოს თანამშრომელთა დასაჯილდოვებლად.

მხოლოდ ამა თუ იმ ორგანოში მონაწილეთა ჯგუფმა ბოროტად არ უნდა მოიხმაროს ნდობა მკითხველისა და მით უკანასკნელს გული სრულიად არ გაუცრუოს ჩვენებურ გამოცემებზე.

და რომ არა იშვიათად, მკითხველს გულის მოპოების მაგიერ გულს ვუცრუებთ ხოლმე ჩვენებურ გამოცემებით, ამის ერთ მაგალითს აქვე მოვიყვანთ და ამითვე გამოვთქვამთ უმთავრესს მიზანს ამ მცირე შენიშვნისას.

მოგეხსენებათ, რომ სამიოდე თვეა, რაც ჩვენში გამოსვლა დაიწყო ყოველ-კვირეულმა ჟურნალმა „ცხოვრება და ხელოვნება“-მ, რომლის ხელმძღვანელ-რედაქტორ-თანამშრომლებად გამოცხადებული იყო 14 კაცი, რომელთა უმრავლესობა ჩვენში ცნობილია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ახლა გადაათვალიერეთ ამ სამ თვეში ტანჯვით გამოსული რაღაც ათიოდე ნომერი აღნიშნულ ჟურნალისა, რომელიც **მოწოდებულია თურმე ხარკად ცხოვრებისა და ხელოვნებისა** და გულ-ახდილათა სთქვით, განა შეუძლია ამ უფერულ ორგანოს, აწინდელი სახით, მიიზიდოს მკითხველები?! ერთ კაცს შეიძლება მეტი არ მოეთხოვოს. ქართული ანდაზა ამბობს: „ერთი კაცი პურის მკაშიაც საბრალოაო“, მაგრამ განა იმ მრავალ-რიცხოვან რედაქტორებს ნახევარ საათიც არის რომ შეეწირათ, მრავალ განცხადებებში საჯაროდ დაპირებულ, საპატიო საზოგადო საქმისათვის,—ეს ჟურნალი ისეთი უფერული უნდა იყოს, როგორსაც ეხლა ვხედავთ?! სხვისა რა მოგახსენოთ და მე, უბრალო მომაკვდავს, იპოდენა თავმოყვარეობა კიდევ შემრჩენია, რომ ჩემს სახელს მაინც ამოვაშლევინებდი იმ მრავალ განცხადებებიდან, სადაც მე ხელმძღვანელადა ვარ მოხსენებული და ფაქტიურად კი იმდენადა ვარ საქმის კეთილ-დღეობით დაინტერესებული, როგორც შარშანდელ თოვლით, და არც კი ვიცი კარი იმ რედაქციისა, რომლის ხელმძღვანელადაც მე ვითვლები.

მართალია საპატიო განცხადებები, ცოტა არ იყოს, ულიტინებს ჩვენს თავმოყვარეობას, მართალია აგრეთვე, როცა ამბობენ, რომ „რეკლამა დიდაა ვაჭრობისაო“, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაჭრული რეკლამა არ უნდა შეეფერებოდეს წმინდა ხელოვნების ტაძრის მსახურით…

ასეთი უმოქმედობით და მკითხველთა ნდობის აბუჩად აგდებით, არამც თუ ვნებთ მარტო აღნიშნულ ჟურნალის დღეგრძელობას, არამედ ნდობას უკარგავთ მრავალ ჩვენ პერიოდულ გამოცემათაც და მითვე ხელს უწყობთ საზოგადოდ ჩვენი პრესის დაბეჩავებას…

**ბ. ახალციხელი.**

# მოწერილი ამბები

**სოფელი კიწია.** (ახალ სენაკის მაზრა). სოფელი კიწია მდებარეობს ორმოცი ვერსის მანძილზე ახალი სენაკიდან; თუმცა სოფელი მოშორებულია ახალსენაკს, მაგრამ გზატკეცილის წყალობით მიმოსვლა ადვილია. სოფელ კიწიაში არსებობს ორკლასიანი სკოლა, სამოსწავლო კურსით; სკოლის შენობა ორ-სართულიანია; მისი აშენება დაჯდა 25000 მანათი. დაარსებულია 50 დარიბ მოსწავლისათვის უზრუნველი ბინა, სკოლის ეზოშივე მოთავსებულია აბანო, სკოლის ეზო გადაქცეულია ბაღად, რომელშიაც თვითონ მოწაფეები მუშაობენ. მიძინებულმა ხალხმა გამოიღვიძა, დაინახა თუ არა სკოლის დიდებული შენობა, ქვის ეკკლესიის აშენებაც მოისურვა. მართლაც, სამი წლის განმავლობაში შენობა დაასრულეს კიდეც. სკოლის და ეკკლესიის შენობის გათავების შემდეგ ხალხმა საფოსტო განყოფილების დაარსება მოისურვა. მთავრობას სათანადო თხოვნით მიმართეს. მთავრობამ თუმცა ფოსტის განყოფილების გახსნა არ დაამტკიცა, მაგრამ წერილების გაგზავნის ნება მისცა; გამოგზავნილ იქმნა მარკები, შკაფი და სხვ. საჭირო ნივთები ფოსტისთვის. მხოლოდ არსებობს ერთი უხერხულობა, რომელიც უსათუოდ უნდა მოისპოს. ამ ჟამად ფოსტა ნაოკალევით მოაქვთ, რადესაც უფრო საადვილო გზა ახალ სენაკიდანაა. ნაოკალევის გზა ამ მხრით ბევრს დაბრკოლებას შეიცავს, ერთის მხრით იგი უვარგისი გზაა, მეორეც, უდიდეს გაზაფხულზე მდინარე ტეხურა ადიდდება ხოლმე და წესიერი მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. თუ ეს უხერხულობა სოფელმა თავიდან აიცილა, კარგი იქნება. **სოფელი.**

# უცხოეთი

**ჩინეთის ახალი ჯარი.**

1900 წელს, „დიდი მუშტის“ დროს ევროპამ ჩინელების ძველი ჯარი ჰნახა. 1904—1905 წლებში მანჯურიაში რუსებს ასეთივე გაუწვრთნელი ჯარი ხვდებოდა. მაგრამ, 1902 წლიდანვე ჩინეთს ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი გაუჩნდა.

იუან-ში-კაი, რომელსაც ევროპა ჭირივით სძულდა, დარწმუნებული იყო, დიდი კედლის იქით ევროპიელთა გარეკვა მათივე იარაღით შეიძლებოდა. 1902 წ. ჩინეთის ჯარი დიდრონ ზარბაზნებით და იაპონურ თოფებით შეაიარაღეს.

ჩინელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მშვიდობიან დროს 36 დივიზიის ყოლა. ეს ჯარი უველაფრით გაწყობილი იყო. ზარბაზნებით, ცხენოსნებით, საპიონერებით და სანიტარებით. 1910 წ. მანჯურიისა და ჩრდილოეთ ჩინეთში 16 სრული დივიზია ჰყვანათ. ჩინელები გახურებულნი მუშაობდნენ. ომის დროს 36 დივიზიიდან თითო 36 კორპუსად და 30 ბატალიონად იქცეოდა.

1906 წელს მომხდარმა ადლუმმა ევროპა დაარწმუნა, რომ ჩინელებს შეგნებულად და სერიოზულად მომზადებულ ჯარის ყოლა შეუძლიათ. იაპონელმა ინსტრუქტორებმა თავიანთი მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულეს.

ჩინეთის სამხედრო მინისტრი იმ პარტიის მეთაური იყო, რომელიც რუსებთან ომსა თხოულობდა. ამიტომ მისი აზრი ჩინეთის ჯარის შესახებ საინტერესოა. იგი ამბობს: ჩინელები გამძლე და ღონიერი ხალხია. ჩინელ „კული“-ს მთელი ქვეყანა იცნობს. მათი სამუშაო ძალა ევროპას აკვირვებდა. ეს ძალა მათ ჯარშიაც შეიტანეს. გაწვრთნილი ჩინელი სამშობლოს დასაცავად საუკეთესო მეომარია. ეხლადღა გამოცდილი აფიცრები გვაკლდნენ. ეხლა ისინიცა გვყავანან“.

ჩინეთის სამხედრო მინისტრის ბანკსანგი აფიცრების გასაწვრთნელად 3 წლიწადი მუშაობდა და ეხლა დარწმუნებულია, რომ მანჯურიიდან უცხო პირთა განდევნისათვის საკმარისი ძალა აქვს.

**ვეთრე მეხუთის დაგვირგვინება და ინგლისელი მუშები**

მუშათა პარტიის გამოჩენილმა მეთაურმა კიერ გარდიმ ინგლისელ მუშათა პროტესტი გამოაქვეყნა. პროტესტი ინგლისის მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული. მთავრობამ დაგვირგვინების დროს სამხედრო სამზადისისათვის დიდ-ძალი ფული გადასდო და ამით სხვა საქმეებს ზარალი მიაყენა.

„დაბეჯითებით ვითხოულობთ,—ნათქვამია მუშათა პროტესტში,—რომ დაგვირგვინების დღესასწაულში ბარბაროსობის წარმომადგენლებმა (ჯარმა და ფლოტმა) კი არ მიიღოს მონაწილეობა, არამედ მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურისამ. ესენი ცივილიზაციის ნამდვილი წარმომადგენლები არიან, ხალხთა შორის მშვიდობიანობის იდეია მათ უნდა დააგვირგვინონ“.

მშვიდობიანობის ერთგული კავშირი ინგლისელ მუშებს მიესალმა და თავის მხრით პარლამენტში შეკითხვა შეიტანა.

# რუსეთი

**უმაღლეს სასწავლებლების ამბები.**

12 მარტს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე ყველა ლექციები გაიმართა. დანარჩენ სამ ფაკულტეტზე 115 ლექციის მაგივრად 46 იყო. მთელი დღის განმავლობაში უნივერსიტეტში 1038 სტუდენტი იყო. უმთავრესს შენობაში—530 კაცი. რექტორის სახელობაზე დათხოვნილ სტუდენტებისაგან მრავალი თხოვნა იქმნა მიღებული. სტუდენტები რექტორს სთხოვენ უკან მიგვიღეო, რადგანაც არც არეულობასა და არც გაფიცვებში მონაწილეობა არ მიგვიღია და მხოლოდ შეცდომით დაგვითხოვესო. 65 დათხოვნილ სტუდენტის შესახებ რექტორმა განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა. თან გააყოლა სტუდენტთა და მათი მშობლების თხოვნები და პროფესორთა და სხვათა მოწმობები, სტუდენტთა ყოფა-ქცევისა და სწავლის შესახებ. პეტერბურგის ასეთივე შუამდგომლობა აღძრან 30 სტუდენტის შესახებაც.

ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის პროფესორთა კრებამ 12 მარტს დაწვრილებით განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორის წესით ჩაეთვალოთ მსურველთ საგაზაფხულო სემესტრი. დაადგინეს: ყველა სტუდენტებს, ვინც კი წერილობით სემესტრის ჩარიცხვის სურვილს განაცხადებს, ამათთვის. საჭირო არ იქნება იმის დამამტკიცებელი საბუთები—ისმენდნენ ისინი ლექციებს თუ არა. ასეთი საბუთები მხოლოდ სტიპენდიატებს დასჭირდებათ.

სამთო ინსტიტუტში 12 მარტს გაფიცვა გათავდა. ეკონომიურ ორგანიზაციის თაოსნობით რეფერენდუმი მოხდა. აკადემისტებმა ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღეს, რადგანაც იგი დირექტორისაგან ნება დართული არ იყო. ამ რიგად კენჭის ყრაში მხოლოდ იმ სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც წინად გაფიცვის მომხრეები იყვნენ. ხმის უმეტესობით (197 ხმის წინააღმდეგ 48) სწავლის დაწყება გადასწყვიტეს.

19 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორთა კრებაა დანიშნული.

კრებამ გადაყენებულ მანუილოვის, მენზბირის და მინაკოვის მოადგილენი უნდა ამოირჩიოს.

ვიატკის პოლიცმეისტერს გამოუგონია მეეტლეებისთვის ახალი ცენზი—პოლიტიკური კეთილსაიმედობა. პოლიცმეისტერის მიერ შემუშავებული პროექტი, როგორც „რეჩს“ სწერენ, წარედგინა ქალაქის საბჭოს განსახილველად. ხმოსნები ერთობ გაოცებული არიან პროექტით.

ოდესის სასამართლო პალატაში გლეხის სევასტიანოვის საქმე გაირჩა, რომელსაც ს.-რევ. პარტიის წევრობა ბრალდებოდა. ჯარში გაწვევისას პოლიტიკურ

---

| | | |
|---|---|---|
| ლეჩხუმის | 318,5 „ | 3.395,9 „ |
| რაჭის | 302,7 „ | 4.827,0 „ |

კომლზე და სულზე საკუთარი და სანადელო მიწები მოდიოდა:

| მაზრებ. | კომლზე სახნ. და სათ. საკ. | აგრეთვე სულზე ორ. სქ. | კომლზე სან. | აგრეთვე სულზე ორ. სქ. სანად. |
|---|---|---|---|---|
| შორაპ. | 0,05 დ. | 0,007 დ. | 1,87 დ. | 0,25 დ. |
| ოზურგ. | 0,01 „ | 0,003 „ | 0,66 „ | 0,14 „ |
| ლეჩხ. | 0,12 „ | 0,01 „ | 1,28 „ | 0,15 „ |
| რაჭის | 0,09 „ | 0,01 „ | 1,57 „ | 0,18 „ |

ამ ციფრებიდან ყველა ნათლად დაინახავს, თუ რა აუტანელ პირობებში იმყოფებიან დროებით ვალდებული გლეხები. არაბული ციფრები დემოსფენის სიტყვებზე უფრო ძლიერად გლეხობის საშინელ მდგომარეობას და მიწის წარმოუდგენელ სივიწროვეს. მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ცნობები,—სავსებით ვერ გამოხატავენ იმ საშინელებას, რომელსაც თვით სინამდვილეში აქვს ალაგი. დროებით ვალდებული გლეხები ისეთ საშინელ პირობებში იმყოფებიან, რომ ისინი თავისი ძალღონით მამულის გამოსყიდვას ვერას გზით ვერ მოახერხებენ. არა თუ გამოსყიდვას, იქნება დროთა ვითარებით ისიც დაჰკარგონ, რაც შეუძლიათ. კონდრატენკოს რედაქციით გამოცემულ „სტატისტიკურ ცნობათა კრებულის“ ცნობით, ჩვენ ვიგებთ ამ სინამდვილესაც. დროებით ვალდებულებას გლეხთა სიუძლურის გამო, ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში 1875 წლის ცნობით შემამულეთა ხელში ისევ გადასულა:

| მაზრებში. | შინდგრის მამული. | ბაღები: |
|---|---|---|
| შორაპანის | 7,160,0 დეს. | 96,6 დეს. |
| ოზურგეთის | 63,7 „ | — „ |
| ლეჩხუმის | 1,642,6 „ | 1,981,7(?) |
| რაჭის | 2,903,4 „ | — „ |

როგორც ზემო ცნობებიდან დავინახეთ, თვითეულ კომლზე თუ სულზე სხვა მაზრებთან შედარებით მეტი ნადელი უწევდათ დროებით ვალდებულ გლეხებს ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში. ამ გლეხების ხელში ამავე მაზრებში მეტი საკუთარი მიწა-წყალიცა აქვთ, მაგრამ, მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიურ პირობების მოუწყობლობის გამო, მათ ვერ შესძლეს დაეცვათ თავიანთი არსებული მდგომარეობა, და მათი ხელიდან მეტი მიწა-წყალი გადავიდა მებატონეთა ხელში, ვიდრე შორაპნისა თუ ოზურგეთის მაზრებში. 4,827,0 დესეტინიდან ისევ მემამულეებს ჩაუვარდათ ხელში 2,903 დესეტინა, ლეჩხუმის მაზრაში კი 3395,9 დესეტინიდან 1,642,6 დესეტინა.

დროებით ვალდებულ გლეხთა საშინელ მდგომარეობის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი, მაგრამ ვინ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას? ნუ თუ დღესაც, ამ დრომოჭმულ ინსტიტუტს უნდა ჰყავდეს დამცველები და ამართლებდნენ მის არსებობას? დროებით ვალდებულება იმდენად საშინელია, რომ ის დაჰგმო კავკასიის ნამესტნიკმაც, მინისტრთა საბჭომაც, მაგრამ როდის მოეღება ბოლო ამ დაგმობილ ინსტიტუტს? **თევდ. ლლონტი.**

რწმენის თანახმად უარი განაცხადა ფიცზე. მაშინ ვარშავის სამხედრო სასამართლომ ოთხი წლით კატორღა გადაუწყვიტა. ამას გარდა, სოც.-რევ. პარტიის წევრობისათვის მიცემულ იქმნა სამართალში. სევასტიანოვი პალატაში უარჰყოფდა პარტიის წევრობას და თავი ტოლსტოის მიმდევრად გამოაცხადა. ერთმა მოწამემ განაცხადა, მინახავს პროკლამაციებს არიგებდა და ს.-რევ. აქებდაო. პალატამ სევასტიანოვს გადასახლება გადაუწყვიტა.

კატორღის ციხეებში დაიწყო ტუსაღთა ჯგუფების შედგენა, რომლებიც ამურის გზის აშენებაში სამუშაოდ იგზავნებიან. ისინი ზაბაიკალის და ამურის ოლქში იმუშავებენ. ამის გამო ციხეების მთავარი გამგეობა იწვევს ექიმს და ხუთ ფერშალს. პირველთ ოცდა ათი თუმანი დაენიშნებათ თვეში, მეორეთ—შვიდ თუმნიდან ათამდი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

## საზღვარ-გარედ.

**რომი.** ჯიოლიტის ახლად შემდგარ კაბინეტის შემადგენლობა ოფიციალურად გამოცხადდა: ჯიოლიტი—მინისტრ-პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრად, სან-ჯულიო—გარეშე საქმეთა მინისტრად, ფინოკიარო—იუსტიციისა, საკი—საზოგადოებრივ სამუშაოთა, ტედესკო—ხაზინისა, ფინანსების—ფაქტა, მიწადმოქმედების—ნეტი, სამხედრო—სპინგარდი, საზღვაო—რატოლკა, განათლების—კრედირო, ფოსტის—კასასანო.

**ბერლინი.** ლანდტაგის კომისიამ წინასწარ წაკითხვის დროს უარჰყო მიცვალებულთა დაწვის კანონპროექტი.

**ვენა.** „ვინერ-ცეიტუნგის“ 18 მარტის ნომერში დასტამბულია მთავრობის განცხადება, სადაც პალატის დათხოვნის მიზეზად ნაციონალურ ოპოზიციის შედგენაა დასახელებული, რომელიც პარლამენტის მუშაობას ხელს უშლიდა. საქმისადმი ასე მოპყრობა არ შეეფერება ამომრჩევთა სურვილებს, რისგანაც მთავრობა აღნიშნავს, საალხო წარმომადგენლობა სხვა და სხვა პარტიათა ბრძოლის ასპარეზად არ უნდა გახდესო.

**სოფია.** შესდგა კოალიციონური ერთვნულ-პროგრესიული სამინისტრო: მინისტრ-პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად—გეშოვი, ფინანსთა—ტეიდოროვი, განათლებისა—ბობჩევი, ყველა ნაციონალისტია, შინაგან საქმეთა მინისტრად—ლიუდსხანოვი, იუსტიციისა—აბრაშევი, ვაჭრობისა—ხრისტოვი, საზოგადოებრივ სამუშაოთა—ფრანცევი (?), პროგრესისტები; სამხედრო მინისტრად—გენერალი ნიკიფოროვი.

**პარიზი.** სააპელაციო ნაწილში ლაკურს სამი წლის ციხე გადაუწყვიტეს.

**სტამბოლი.** პალატა. დიდებულ საფეზიროს ხარჯთ-აღრიცხვა. ოპოზიციას ჰსურს ხელ-ახლა შეტანილ იქმნას შეკითხვა სამხედრო წესების შესახებ. ხმაურობა. უმეტესობა უარ ჰყოფს შეკითხვას შინაგან საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვამდის, რაზეც ოპოზიცია პროტესტს აცხადებს. ლუტფი-ფეკრი იძახის: „პრეზიდენტისთვის სირცხვილია, რომ უმეტესობას მონურად ემორჩილება“. ხმაურობაა. უმრავლესობის მეთაურის წინადადებით პალატა გაკიცხვას უცხადებს ლუტფის. საფეზიროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა.

**სტამბოლი.** ალბანიიდან მოსულ ცნობების მიხედვით მოძრაობა საპხრეთისაკენ იწევს და დებრასა და იპეკის ოლქებს ედება. იტყობინებიან: აჯანყებულები სკუტარისაკენ მიიწევენო. თოფხანისა და ყაზარმების ლების შემდეგ მეამბოხენი სკუტარს 2 საათის სავალზე დაუახლოვდნენ. მცხოვრებნი ტბით ჩერნოგორიაში გარბიან. გაზეთი „ტანინი“ აჯანყებაში ჩერნოგორიას ამტყუნებს და რეპრესიებით ემუქრება.

**ურმია.** მეჯლისის მუშტეიდების დეპეშა, რომლითაც მუშტეიდები ხალხს რუსის საქონლის ბოიკოტს ურჩევდნენ, მეჯლისში წაიკითხეს; დეპეშამ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. იმპერიის კანცლერის კანცელიარიის ხარჯთ აღრიცხვას იხილავენ. რეიხსტაგში არიან: კანცლერი, გარეშე საქმეთა მინისტრი, სხვა მინისტრები და ხალხი. სალაპარაკოდ ყოველ პარტიის მეთაურები გამოდიან. სოციალისტებს გარდა, ყველა ორატორები სახელმწიფოებთან კეთილ დამოკიდებულებას აღნიშნავენ; აღნიშნავენ აგრეთვე პოტსდამის შეხვედრის კეთილ-ნაყოფიერებას, რომელმაც ძველი მეგობრული კავშირი განამტკიცა. კონსერვატორების მეთაურმა, ამას გარდა განაცხადა, რუსეთსა და გერმანიას არა მარტო ეკონომიური ინტერესები, არამედ სახელმწიფო წყობილების ერთგვარობა, აკავშირებსო. სოციალისტი-ორატორი გერმანიის საიმპერიო პოლიტიკასა ჰკიცხავს და გერმანიისა და საფრანგეთის დაკავშირებას ითხოვს. სოციალისტები და თავისუფლად—მოაზრენნი იარაღის აყრის მომხრენი არიან. კონსერვატორები და ლიბერალ-ნაციონალისტები—ამ მოსაზრების წინაამდეგნი.

**ვენა.** პალატა დაითხოვეს. არჩევნები დაუყოვნებლივ მოხდება.

### ფ რ ე ნ ა.

**ბრემენი.** სამხედრო მფრინავნი, რომელნიც ოთხ საათსა და 18 წუთს აფრინდნენ, ხუთ საათსა და 50 წ. უვნებლად ჩამოეშვნენ.

**ჰამბურგი.** ბერლინიდან მოსული ორი ავიატორი აფრინდა 4 საათსა 50 წ. ბრემენში გადასაფრენად, სადაც უვნებლად ჩამოეშვნენ. ფრენის სისწრაფე საათში 90 ვერსს უდრიდა.

### შავი ჭირი.

**ხარბინი.** შავი ჭირით არავინ არ ოკვდება, არც ავად გამხდარა. რუსის ზოგიერთი ოჯახი, რომლებიც ხარბინიდან გაიქცნენ, უკან ბრუნდებიან.

### რ უ ს ე თ ი

**ნოვოჩერკასკი.** 16 მარტს საღამოს 5 საათზე ბოროტ-მოქმედებმა, სად. ვიძენის მახლობლად ვარშავ-ვენის გზაზე მატარებელი გააჩერეს. ამ მატარებლით რკინის გზის მოსამსახურეთა ჯამაგირები მიჰქონდათ. გაიტაცეს ოცდა ათი ათასი მან. ორი მგზავრია დაჭრილი. მძარცველებს პოლიცია დაედევნეს. პოლიციამ იქვე ახლოს გახსნილი და გაუხსნელი ხელის კასები იპოვა. ამ ადგილებზე ალყის შემოსარტყმელად გუსართა პოლკი და ორი როტა ქვეითი ჯარისა გაიგზავნა. გუბერნატორიც იქით გაემართა.

**ხარბინი.** ხეილუნცზიანის გუბერნატორმა ჩინეთის მთავრობას ხუთი მილიონი ლანი სთხოვა. ფული უსაქმოდ დარჩენილ ჩინელების დასახმარებლად უნდოდა. მთავრობამ უარი შეუთვალა. გაზეთები და გუბერნატორის მოხსენება ჩინელების საშინელ მდგომარეობას აგვიწერენ. ბლაგოვეშჩენსკის გაზეთები იტყობინებიან, რომ ბევრი სიმშილით იხოცებაო. მრავალი ჩინელი ამურის ნაპირებზე მგზავრებს სძარცვავენ. გაზეთები მათ დასახმარებლად შემოწირულებებს აგროვებენ.

**გომელი.** გერჩიკოვის დაბახანა დაიწვა. ზარალი დიდია.

**პეტერბურგი.** ნება დართეს, რომ მარტში მოსკოვს სინემატოგრაფთა კრება მოიწვიონ. კრების პროგრამაში შეტანილია საკითხი, მექანიკთა სპეციალურ სასწავლებლის გახსნა, რათა გამოცდილი მექანიკები იყოლიონ და ცეცხლის გაჩენა თავიდან აიცილონ.

**ნოვოჩერკასკი.** 8 კასაში 20,000 მან. იპოვეს. 12 კასსა დამტვრეული და ცარიელი აღმოჩნდა. 9—ხელუხლებელი. ფიქრობენ, რომ 18,000 მან. უნდა იყოს გატაცებული. 4 პალტო იპოვეს.

**მოსკოვი.** სამხედრო საოლქო სასამართლო რკინის გზაზე მცარცველთა საქმის გარჩევას შეუდგა. სამართალში 59 კაცია მიცემული მოწმედ—91.

**გროდნო.** ნემანზე გემების მოძრაობა დაიწყო.

**ასტრახანი.** ვოლგაზე ყინული დაიძრა.

**კიევი.** წოდებათა დაწესებულების წარმომადგენლებმა ქალაქის მონაწილეობით 19 თებერვლის აღსანიშნავად გადასწყვიტეს ტარაში ალექსანდრე მეორის ძეგლის აგება.

**ჰელსინგფორსი.** სეიმმა უარ-ჰყო მსჯელობა ადრესის შესახებ. 9 მარტამდის უნივერსიტეტის კონსისტორიამ დაადგინა ამიერიდან კონსისტორიის საქმეთა ოქმები ფინურს ენაზე სწარმოებდეს.

**ბაქო.** ბიბი-ეიბათში ლაპშინის ნავთის სამრეწველოში ნავთის შადრევანი იწვის. შვიდი მუშა მძიმედ დაშავდა.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ფოსტალიონი, რომელმაც 14 მარტს 200,000 მან. გაიტაცა, ფულებიანად დაიჭირეს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** გაზაფხულის სეზონი ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისა ქალაქის თეატრში დაიწყება 20 მარტიდან. ეს პირველი შემთხვევაა რომ ქართული დასი გაზაფხულის სეზონში თამაშობს. დასი კვირაში ორ წარმოდგენას გამართავს ერთს ჩვეულებრივ და ერთსაც დაკლებულ ფასებში.

დასში ჯერ ჯერობით მოწვეულნი არიან: ქქ. თ. გოგოლაშვილი, დ. ივანიძე, მ. მდივანი, შ. ლოლობერიძე, ა. ქიქოძე, ნ. ჩხეიძე, ბ. ბ. ვ. არაბიძე, ი. აპტალიძე, ი. ბარველი, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, დ- მგალობლიშვილი, მ. ხონელი, ა. ყალაბეგიშვილი. სუფლიორი: გ. გურული. სცენარიუსი: ა. გუგუშვილი. რეჟისორი: მიხ. ქორელი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე, განზრახული რეპერტუარი: ეროსი და სიხეა, გაზაფხულის ვნება, ჯამბაზები, კატასტროფა, წარღვნა, მუშაკი და ნებიერი, ნორა, რომანტიკოსები, სასაცილო ისტორია, უცნობი, განთიადი, და-ბეატრისა და სხ.

პირველი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 20 მარტს. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე „ჟულიკი“ თარ. პეტრე ყიფიანისა, პარასკევს, 25 მარტს—„ჯამბაზები“, 26 და 27 მარტს პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა „ეროს და ფსიხეა“. **ქი—ქი.**

# ღია წერილი

**ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორისადმი.**

„Кутаисская жизнь“-ის მე-16 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ 81 წლის გეგმა იყო და არის დატოვებული სადირექციო სკოლებში სახელმძღვანელოდ. მისი უარყოფის ნება არა აქვს არც ინსპექტორებს და არც მასწავლებლებსაო. მეტად სასიამოვნოა, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებში პროვინციებიდან მოთავსებული უტყუარი ფაქტები კი სულ სხვას ამტკიცებენ: ამა და ამ სკოლის მასწავლებელმა, სასკოლო მთავრობის გულის მოსაგებად, უარჰყო 81 წლის გეგმა და დაუბრუნდა ძველს, ბავშვების გონების დამჩლუნგებელ, პროგრამას. სასკოლო ინსპექტორმა დაავალა მასწავლებელს (მეც დამავალა ერთმა ინსპექტორმა) პირველ წლიდანვე რუსული წერა-კითხვის სწავლება. ურჩი გაცოცხა და სხვა ამ გვარი რამეები. თქვენის მხრით რომ რაიმე საყვედური მაინც გამოცხადებოდეს ასეთ ინსპექტორებს და მასწავლებელთ, ეს კი არ გვსმენია. ცხადია, თქვენამდის არ მოუწევია, ალბად, ამის დამამტკიცებელ საბუთებს, თორემ, შეუძლებელია, ღირსეული პასუხი არ გაგეცათ მათთვის. დღემდის რაც მოხდა მას აღარა ეშველება-რა, მხოლოდ შემდეგში რომ მაინც აღარ განმეორდეს მათი ასეთი მავნე მოქმედება და მთლად სენად არ მოედოს ყველა სკოლებს, დიდად სასურველი იქნება, რომ თქვენდამი რწმუნებულ სკოლების მასწავლებლთ დაუგზავნიდეთ მიწერილობებს და ამცნობდეთ, რომ 81 წლის გეგმის უარყოფის ნება არავის არა აქვს და იგი ისევ ძალაშია. ბევრ მასწავლებელს აღარც კი ჰგონია, თუ ეს გეგმა კიდევ არსებობს. მართალია, პრესის საშუალებით თქვენ ეს უკვე აღიარეთ, მაგრამ მასწავლებელთა უმცირესობა თუ წაიკითხავს მას, რადგან უმრავლესობა მოკლებულია ჟურნალ-გაზეთებს.

დავშთები თქვენი მონა მორჩილი და სხვა **ხოფ. მასწავლებელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რადგანაც, როგორც მე მგონია, ის, რასაც მე ვიტყვი, ყველა ქართველისთვის საინტერესო უნდა იყოს. *)

მე დიდუბის მცხოვრები ვარ. ამ უკანასკნელ წლებში ტფილისში არა ვცხოვრობდი და დაბრუნებისათანავე დიდუბის ეკლესიაში წაველი სალოცავად ჩემი ოჯახობით. წინედ დიდუბეში წირვა-ლოცვა სულ ქართულად იყო ხოლმე. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც დიდუბის ეკლესია ტფილისის ყველა მორწმუნე ქართველთა სამლოცველოა. მორწმუნე ქართველი განსაკუთრებულის სიყვარულით ეკცევა დიდუბის ეკლესიას, როგორც საშვილი-შვილო სიწმინდეს. მორწმუნე ქართველობას მთელი თავისი სარწმუნოებრივი სასოებით განუახლებია ეს უძველესი ეკლესია, თავისი შრომა და ფულიც კი დაუხარჯავს. იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ აქ ვიყავი, აუარებელი ქართველი მლოცველები აწყდებოდა ამ ეკლესიას. არამც თუ ქართველი მართლ-მადიდებელნი, მაჰმადიანებიც კი მოკრძალებით ეძლეოდნენ ამ ეკლესიას და წმინდა ხატებს სანთლებს უნთებდნენ. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც, ჩამოსვლის შემდეგ, დიდუბის ეკლესიაში რუსული წირვა-ლოცვა გავიგონე. რუსული წირვა-ლოცვის წინააღმდეგ ჩვენ რა გვეთქმის, მაგრამ ქართველმა მორწმუნემ რაღა დააშავა, რომ დიდუბის ეკლესიაში, ამ უძველეს ქართულ ეკლესიაში, სადაც ყოველთვის ათასობით ქართველი მორწმუნე დადიოდა სალოცავად, დღეს ქართული წირვა-ლოცვა მოუსპიათ? გამოვცა ამ საქმემ, ხან ვისა ვკითხე და ხან ვის მეზობელმა ქართველებმაც შემომჩივლეს, ვერც ჯვრისწერა მოგვისმენია ქართულად, ვერც პანაშვიდიო. დიდუბის ქართველი მორწმუნენი უეჭველია ყურადღებას მიაქცევენ ამას. დიდუბეში ქართულად წირვა-ლოცვის მოთხოვნა არავის დანაშაულობად არ ჩაეთვლება, და ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსიც, რომელმაც მოსვლისთანავე განაცხადა, ჩემთვის ყველანი თანასწორნი არიანო, უეჭველია ყურადღებას მიაქცევს დიდუბელების თხოვნას: დიდუბის ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვას განაახლებს და ამით მორწმუნე ქართველს საშუალებას მისცემს თავის სამშობლო ენაზე ევედროს ღმერთსა. *)

**დიდუბელი.**

—

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, მადლობა გამოვუცხადო თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ბატონ ნოე ოქროპირიძე ბზიკალავას, ხვარბეთის ორკლასიანი სასწავლებლის სასწავლებლის მასწავლებელს, რომელმაც ხუთი მანათი გადმომცა ჯურუყვეთის ორკლასიანი სასწავლებლისთვის საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ გამოსაწერად.

ჯურუყვეთის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი

**სოფიო გიგინეიშვილი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ს დიდუბელს, როგორც ახლად დაბრუნებულს, მართლაც არასწორედ აქვს საქმის ვითარება. საკითხი დიდუბის ეკლესიის შესახებ დიდიხანია აღძრულია. ჩვენ გიხარებელბთ შემთხვევით და ამ მოკლე ხანში წერილს გუმდგნით დიდუბის ეკლესიის საქმეებს.

**რედაქცია.**


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აფეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ბეგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გევახკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წ ა მ ლ ო ბ ა

**კონსულტაციურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ქ. თ ე ლ ა ვ ს ა შ ი ც

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის

**წ ი გ ნ ი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—22)

◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის მუხრელისა.

ოლგას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღესა და ღამეს. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ბიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—73)

## „სამპსონინი“

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

ისყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—2)

## ცელულიალური აბრეშუმის ჭიის თ ე ს ლ ი

კავკასიის სააბრეშუმო სადგურში დამზადებული იყიდება

**მისხალი 35 კაპეიკად,**

სადგურის საწყობში, მუშტეიდის ბაღი. (3—512—3)

◀ „სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა ▶

## ქართველი და უცხოელი მწერლები

**წიგნი მეექვსე**

**მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.**

## დრამები და კომედიები

**წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით**

ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც **ქართველ** აგრეთვე **უცხოელთა დრამატურგების** ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.

**არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.**

**წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.

**წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა**

ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: **Тифлисъ типографія „Сорапань“.**

ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის“ მაღაზიაში. კიკნაძესთან, 3) „ალიონის“ მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან. (15—1100—11)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძებველოვების მ ა ღ ა ზ ი ა ს

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხა) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

## მივიღეთ ახალი ნავაგა

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—129)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა